ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-თან და აცხადებს კონკურსს საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების დოქტორანტურის სტუდენტებისთვის (მეორე სამიზნე ჯგუფი) ევროპის 9 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო/კვლევითი სტიპენდიის მოსაპოვებლად

სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:

http://ianus.uaic.ro/

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი	**დოქტორანტურის სტუდენტები**
ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ	გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)
მაგისტრის დიპლომი	არქონის შემთხვევაში, ცნობა, რომ დამთავრებული გაქვთ, აღების სავარაუდო თარიღის მითითებით
მაგისტრატურის ნიშნების ამონაწერი	გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია, თუ ფაკულტეტის მიერ არ არის ინგლისურ ენაზე მომზადებული)
ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL, IELTS)	სტუდენტებმა, რომელთაც არ აქვთ ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, უნდა წარადგინონ მშობლიურ უნივერსიტეტში ენის ტესტის (B2) ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (მიმღებ უნივერსიტეტში სასწავლო ენად შემოთავაზებული ენებიდან ერთ-ერთის: ინგლისური, გერმანული, იტალიური და ა.შ) შესაძლებელია ასევე, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ არ მიიჩნიოს ენის სერთიფიკატის ქონა, ამ შემთხვევაში შეავსეთ და ატვირთეთ დანართი 1. თუმცა ასევე შესაძლებელია, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ მიიჩნიოს საერთაშორისო ენის სერთიფიკატის ქონა, გადაამოწმეთ ინფორმაცია სასურველი უნივერსიტეტის მოთხოვნებში!!
სასწავლო ან საკვლევი გეგმის მონახაზი	სტიპენდიაზე განაცხადის შეტანის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ მიმდინარე კვლევის აღწერილობა და ინფორმაცია, რა კვლევის ჩატარება სურთ მასპინძელ უნივერსიტეტში (დანართი 2)
მოტივაციის წერილი	რატომ გსურთ ზემოაღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიღება, როგორ იმოქმედებს აღნიშნული სტიპენდია და მასპინძელ უნივერსიტეტში გატარებული პერიოდი თქვენს კვლევასა და პროფესიულ და სამომავლო განვითარებაზე (ინგლისურ ენაზე)
დაინტერესების წერილი მასპინძელი უნივერსიტეტისგან	მასპინძელი უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამის ხელმძღვანელის წერილი, კვლევის ხანგრძლივობის

(თუ სავალდებულოა თქვენი სასურველი უნივერსიტეტისთვის)	მითითებით, რომ თქვენი კვლევით შესაბამისი ხართ მათ მიერ შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამასთან
CV	იხილეთ თანდართული ნიმუში (დანართი 3; EN)
ერთი რეკომენდაციის წერილი	მშობლიური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ გაცემული (ინგლისურ ენაზე, შესაბამისი ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)
პასპორტი	სურათიანი გვერდის დასკანერებული ვერსია
სოციალურ-ეკონომიკური, ჯანმრთელობის პრობლემის, დევნილის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა (არსებობის შემთხვევაში)	ოფიციალური დოკუმენტი, რომ მიეკუთვნებით სოციალურად დაუცველ ფენას, იღებთ სოციალურ შემწეობას, ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი დოკუმენტი ან დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)

პროექტში მონაწილე ევროპული უნივერსიტეტები:

1. იაშის უნივერსიტეტი, რუმინეთი
2. კარლ-ფრანცეზის უნივერსიტეტი, გრაცი, ავსტრია
3. ლილი 1: მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
4. მონპელიე 2: მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
5. ფრიდრიხ შილერის იენის უნივერსიტეტი, გერმანია
6. გრონინგენის უნივერსიტეტი, ჰოლანდია
7. იაგელონიის უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი
8. ბატეი ბელის უნივერსიტეტი, სლოვაკეთი
9. გრანადის უნივერსიტეტი, ესპანეთი

პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამები:
http://ianus.uaic.ro/academic-offer
მობილობის პერიოდი: 2013/2014 აკადემიური წელი
მობილობის ხანგრძლოვობა: 5-დან 24 თვემდე
სტიპენდია მოიცავს 1500 ევროს ყოველთვიურად, საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის დაფინანსებას.

სრული სააპლიკაციო დოკუმენტაციის პროექტის ვებ-გვერდზე ატვირთვის ბოლო ვადა:
2013 წლის 14 თებერვალი

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ
ანი ჭელიშვილს თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში
თსუ პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი 121. ელ-ფოსტა: erasmus@tsu.ge